



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება № 53



2013 წლის 29 მარტი  
ქალაქი ხაშური

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N55 განკარგულებით გამოყოფილი  
თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის  
მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2012 წლის 4 აპრილის N62 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს  
მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N55 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო  
ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთის  
39 745 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი საკანალიზაციო სისტემების მოწყობის  
ცალკეულ სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) დაბა სურამში ყოფილი სანატორიუმ „სურამის“ დევნილთა დასახლების გარე  
საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ბ) ქალაქ ხაშურში, 26 მაისის ქუჩაზე მდინარე შოლას ყოფილი კალაპოტის მონაკვეთის  
გაწმენდისა და ამ კალაპოტში დ-400მმ საკანალიზაციო პლასტმასის გოფრირებული მილის  
ჩაწყოების სამუშაოები.

2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის  
რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

